ინტერნეტ-ბაზრის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

რატი აბულაძე
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
E-mail: dr.ratmen@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში ხაზგასმულია ელექტრონული მთავრობის ტექნოლოგიების ეკონომიკური როლი. ნაშრომში, ელექტრონული მთავრობის ტექნოლოგიები განხილულია ეკონომიკური რესურსის სახით, რომლის გავრცელებასაც ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. შესაბამისად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დადგენილია, ელექტრონული მთავრობის განვითარების დონესა და ქვეყნაში სოციალ-ეკონომიკური სარგებლის ზრდას შორის.

კვლევით ნაშრომში წარმოჩენილია, რომ ინტერნეტ-ბაზრის განვითარება სტიმულირებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროების წარმოჩენას, ეკონომიკური აქტივობის ზრდას, ახალი ბაზრების წარმოჩენას, სიღარიბის მასშტაბების შემცირებას, ონლაინ ვაჭრობისა და ონლაინ გარიგებების გააქტიურებას.

სტატიაში ნაჩვენებია ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ბაზარი, როგორც ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლების ერთ-ერთი რესურსი.

დახასიათებულია ინტერნეტ-ბაზრის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში.

დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია საჭირო რეკომენდაციები და ღონისძიებათა სისტემა.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტ-ბაზარი, ელექტრონული კომერცია, ელექტრონული მმართველობა, კიბერსაფრთხეები

შესავალი

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია, ქვეყანამ, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს რეგიონში ICT-ისა და ინოვაციების ექსპორტის, ინტერნეტ-ბაზრისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების მიმართულებით[1].

დღეს, მთავრობის ერთ-ერთ ძირითად ინტერესს წარმოადგენს ქვეყნის სრული ინტერნეტიზაცია, ელექტრონული მთავრობის მომსახურების კომპონენტების სრულყოფა და მრავალფეროვნება.

ქვეყანას, ციფრული გარემოს განვითარებისათვის გააჩნია მოქმედი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ფლობს ფინანსურ და საკადრო რესურსს.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ-ბაზრის განვითარება სტიმულირებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროების წარმოჩენას, ეკონომიკური აქტივობის ზრდას, ახალი ბაზრების წარმოჩენას, სიღარიბის მასშტაბების შემცირებას, ონლაინ ვაჭრობისა და ონლაინ გარიგებების გააქტიურებას.

აღიარებულია, რომ ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლების ერთ-ერთი რესურსია, რაც მნიშვნელოვანად ზრდის მოცემული საკითხის მნიშვნელობას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ქვეყანა მუდმივი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გამოწვევებისა და პრობლემების დაძლევაშია. აღნიშნული დროიდან მთავრობაც და საზოგადოებაც მუდმივად ეძებს ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის მიდგომებს, სოციალური საკითხების დაძლევის გზებს, სახელმწიფოს მართვის ქმედუნარიან ინსტრუმენტებს, რაც სხვადასხვა წლებში სხვადასხვა შედეგებით იყო წარმოდგენილი. დღეს, მსგავს მიდგომასა და ინსტრუმენტს ელექტრონული მთავრობის სისტემა წარმოადგენს[2].

1. საქართველოს ინტერნეტიზაციის პროცესი

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს, მოსახლეობის ინტერნეტიზაციის პროექტზე ინტერესთა გამოხატვის კონკურსში მონაწილეობა არ მიიღო კორპორაციულმა სექტორმა{3}. საბედნიეროდ, პროექტი მაინც გაგრძელდა „ფონდი ქართუს" ფინანსური უზრუნველყოფითა (120

მლნ ლარი)[4] და გერმანული ფირმა „დეტეკონთან" დადებული ხელშეკრულების შედეგად[5].

უდაოა პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობა. ამასთან, პროექტის განხორციელების მიდგომები არარაციონალური, რაც გამოიხატება შემდეგში: პროექტის კვლევის, ანალიზისა და დაგეგმვის სამუშაოებში მონაწილეობას არ იღებს ქართველი მეცნიერები და სპეციალისტები. დღის წესრიგში არ დგას (საჯაროდ არავინ აცხადებს) ციფრული საქართველოს განვითარების სტრატეგიისა და გეგმების მოდიფიცირების საკითხი, არ ხორციელდება ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისი სტრატეგიული საჭიროებების განსაზღვრა, შეფერხებულია კიბერსივრცის სამართლებრივი გარემოს მოწესრიგება, ბუნდოვანია ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბაზრის განვითარების მიდგომები.

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ იმისათვის, რომ ქვეყანამ ინტერნეტ-ბაზრის პოტენციალის ათვისება შეძლოს, საჭიროა ჯერ მოხდეს მოსახლეობის კომპიუტერიზაცია, კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამაღლება და სწავლება, შემდეგ განხორციელდეს ინტერნეტიზაციის პროცესი და მოხდეს ინტერნეტ ხელმისაწვდომობის ზრდა. ასეთი მიდგომებით შედეგს იგრძნობს საზოგადოებაც, ბიზნესიც და სახელმწიფო სექტორიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ელექტრონული გარემოს განვითარების ხელშემწყობი მიდგომები არაკანონზომიერი შედეგის იქნება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანაში ძალიან დააგვიანა კომპიუტერიზაციის პროცესმა. მაშინ, როცა საზოგადოების დიდ ნაწილს არ აქვს ინტერნეტის დამაბოლოებელი აპარატურა (კომპიუტერი), კვლევებზე აგებული არაა სტრატეგიული დოკუმენტი, ქვეყანას არ გააჩნია ელექტრონული კომერციის კანონი, რეგიონის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური ფონი დაბალია, არაპროგნოზირებადია ელექტრონული გარემო, ბუნებრივია კორპორაციული სექტორი ინტერნეტ-ბაზარზე აქტივობისაგან თავს იკავებს . შესაბამისად, სახელმწიფო კარგავს იმ მნიშვნელოვან შემოსავლებს, რასაც ინტერნეტ-ბაზარი გენერირებს.

2. გლობალური კიბერსაფრთხეები

ხაზგასასმელია გლობალური კიბერსაფრთხეები: ინფორმაციული ოკუპაცია, ინფორმაციული გენოციდი, ინფორმაციული აგრესია; ინფორმაციული გარემოს რეგულირება - ინფორმაცია, როგორც დეზინფორმაციის იარაღი[6];

სულ უფრო მზარდია სახელმწიფოებისა და არასახელმწიფო სუბიექტების რაოდენობა, რომელიც ქმნის საფრთხეს, იპარავს, ცვლის ან ანადგურებს ინფორმაციას და შესაბამისად იწვევს სისტემების კრიტიკულ ავარიას. სხვაობა ტრადიციულიკრიმინალის ჩამდენებსა (ჰაკერები, ტერორისტები, ორგანიზებული კრიმინალური ქსელი, სამრეწველო შპიონაჟი) და უცხოურ დაზვერვას შორის ხდება სულ უფრო ბუნდოვანი, რადგან ინტერნეტის უსაზღვრო და ანონიმური თვისებების გამო რთულია კიბერშეტევის წყაროს გაშიფვრა;

კავკასიაში კონფლიქტის შემთხვევაში 'კიბერსივრცე იქცევა ძირითად ბრძოლის ველად". სამხრეთ კავკასიის გაყინულ კონფლიქტებს ნელ კოცონს უნთებს თურქი, სომეხი, რუსი და აზერბაიჯანელი ჰაკერების კიბერთავდასხმები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანა საჭიროებს კიბერარმიას. ეროვნული უსაფრთხოებისათვის ფორმირებული უნდა იქნას „ჰაკერების", სწავლულ-მეცნიერების, Iთ პროფესიონალების, კვალიფიციური ინჟინრებისა და ექსპერტებისაგან ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს Iთ სფეროში კარგად გათვიცნობიერებული ადამიანებით, ასაკისა და სქესის მიუხედავად.

3. საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის საბიუჯეტო დაფინანსება

აღნიშნულ ფონზე, საქართველოს ინტერნეტ-გარემოს (ინტერნეტ-ბაზარი, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული კომერცია) განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას სახელმწიფოს დაფინანსება წარმოადგენს.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტში (ისევე, როგორც წინა წლებში) მცირეა ინტერნეტ-ბაზრისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების მიზნით გამოყოფილი ფინანსური რესურსები. ბიუჯეტში გათვალისწინებული არაა: ელექტრონული კომერციის ხელშეწყობის, მოსახლეობის კომპიუტერიზაციის დაფინანსების, ინტერნეტ-კომპანიებისა და ელექტრონული ბიზნეს მოდელების წარმოქმნის ფინანსური რესურსები. ასევე, არასაკმარისია პოლიტიკური და სამართლებრივი მხარდაჭერის პროგრამები.

იმისათვის, რომ ქვეყანაში, ელექტრონული ბიზნესი განვითარდეს, საწყის ეტაპზე, საჭიროა მისი ხელშეწყობა და დაფინანსება, რომლის უზრუნველყოფაც სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე მოზიდული კაპიტალითა და ფინანსური ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი (ასევე, პროგრამებით).

იმისათვის, რომ ქვეყანაში, ელექტრონული ბიზნესი განვითარდეს, საწყის ეტაპზე, საჭიროა

მისი ხელშეწყობა და დაფინანსება, რომლის უზრუნველყოფაც სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე მოზიდული კაპიტალითა და ფინანსური ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი (ასევე, პროგრამებით). ვინაიდან და რადგანაც კომპლექსურად შესაწვლილი არ არის ქვეყნის ინტერნეტ-გარემოს საერთო მდგომარეობა, შედეგად რეგიონების ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესში კერძო სექტორი არ აქტიურობს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიულ დოკუმენტშიც (ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018) კი შეუძლებელია გაიგო ინტერნეტ-გარემოს მდგომარეობის სრული სურათი. შესაბამისად, რთულია შეაფასო ინფრასტრუქტურული პროექტების ინვესტირების მიმზიდველობა და განსაზღვრო მოსალოდნელი რისკები.

დღეს, ცალკეული სამინისტროების მიერ წარმოებული ელექტრონული მმართველობის ცალეკული კომპონენტების დანერგვის ღონისძიებები არაკოორდინირებული, ფრაგმენტული და უსისტემოა. შესაბამისად, მისგან მიღებული სარგებელი თვალსაჩინო არაა.

საქართველოში, ელექტრონული გარემოს ტექნიკურ მხარდაჭერასა და ელექტრონული მომსახურების შექმნაზე იმაზე მეტი თანხა იხარჯება, ვიდრე საზოგადოების მიერ აღნიშნული ტექნოლოგიების ათვისების პროცესზე. შესაბამისად, გვაქვს ტექნოლოგიები, მაგრამ დაბალია საზოგადოების მიერ მისი ათვისების ტემპი.

ბაზრის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ არსებული საბიუჯეტო დაფინანსება საკმარისი არ არის ინტერნეტ-ბაზრის განვითარების, ინფრასტრუქტურის მოდერნიზების, ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნის, ინტერნეტ-პროდუქტების განვითარების, ელექტრონული ვაჭრობის ზრდის, ელექტრონული კომერციის ექსპორტის, ელექტრონული ბიზნესისა და ინტერნეტ-ეკონომიკის მოცულობის ზრდისთვის.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტში ელექტრონული მმართველობის განვითარებაზე გამოყოფილია 2,5 მლნ ლარი, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე - 8,5 მლნ ლარი, ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარებაზე 1,7 მლნ ლარი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებთა განვითარებაზე 6,5 მლნ ლარი.

მცირე დაფინასებისაა ცალკეულ აღმასრულებელ უწყებებში მიმდინარე ციფრული პროცესი, მართვის ელექტრონული უზრუნველყოფა, კიბერგარემოს ხელშემწყობი ღონისძიებები და სხვა ელექტრონული პროცესი. აღნიშნული პროცესისათვის ბიუჯეტის პროექტში გამოყოფილი ასიგნება დაახლოებით 50 მლნ ლარამდეა (ხოლო, ბიუჯეტით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების/გადასახდელების ჩათვლით 105 მლნ ლარი).

შედარებისათვის, შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა ქვეყნის ბიუჯეტის დაფინანსება IჩთI-ის განვითარებაზე, რომელიც საკმაოდ სოლიდურია, კერძოდ: აშშ-ის მთავრობის დანახარჯი შეადგენს 75 მლრდ დოლარს, დიდი ბრიტანეთის - 10 მლრდ დოლარს, 4-5 მლრდ დოლარის ფარგლებში მერყეობს კანადის, საფრანგეთისა და ავსტრალიის ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტის დანახარჯი (2013) [7]. თურქეთის Iთ სექტორის განვითარებაზე იხარჯება 24 მლრდ დოლარი[8], რუსეთის მიერ მხოლოდ სახელმწიფო უწყებების ინფორმატიზაციაზე იხარჯება 1,105 მლრდ რუსული რუბლი, (2015) [9], აზერბაიჯანის მთავრობა 2020 წლამდე 3,6 მლრდ დოლარის ჩადებასა [10] და წლიურად 1 მლრდ ინვესტიციის მოზიდვას გეგმავს IჩთI-სა და ტელეკომუნიკაციის სექტორში[11].

ხაზგასასმელია, რომ Iთ სექტორის განვითარებაზე მოლდოვა ხარჯავს მშპ-ის 2,3%-ს, ბულგარეთი - 1,8%-ს, სლოვენია 1,9%-ს, ხორვატია - 1,9%, უკრაინა 2,2%-ს (2010)[12], ხოლო სომხეთი - მშპ-ის 1,1%-ს (2009) [13].

სამწუხაროდ, მცირე ფინანსური რესურსების (საქართველოს ბიუჯეტის 1%-იც კი არ არის მიმართული ინტერნეტ-გარემოს გავითარებაზე) და არსებული სტრატეგიული დაგეგმვის პირობებში რთულია, რომ საქართველომ რეგიონში (ICT-სა და ინოვაციების ექსპორტის კუთხით) დაიკავოს წამყვანი ადგილი, თუ მთავრობის პრიორიტეტი გამოსახული არ იქნება განვითარების ეფექტიან სტრატეგიასა და მიზნობრივ საბიუჯეტო დაფინანსებაში.

მრავალფეროვანია ინტერნეტ-გარემოს განვითარების უზრუნველმყოფი უწყებები, თუმცა რეალურად ქვეყანას ერთი პასუხისმგებელი უწყება არ ჰყავს, რომელიც შედეგზე პასუხს აგებს და კოორდინირებას გაუწევს ინტერნეტ-ბაზრის განვითარების პოლიტიკის გატარებასა და მიზნობრივ დაფინასებას.

4. საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის პრობლემები და გამოწვევები

საქართველოს ინტენერნეტ-ბაზრის მარკეტინგული კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი პრობლემები და გამოწვევები:

- ქვეყანაში, სახელმწიფო სექტორის

ელექტრონული მომსახურება უფრო განვითარებუ-ლია, ვიდრე ბიზნეს სექტორი. დადგენილია, რომ ქვეყანაში ინტერნეტ-ბაზარი განვითა-რებული არ არის; არ არსებობს სტატისტიკა ელექტრონული კომერციის, ინტერნეტ-ბაზარზე მოქმედი კომპანიების საქმიანობის, ინტერნეტ-ბაზარზე დასაქმებულთა რაოდენობისა და ციფრული ეკონომიკის წილის შესახებ, ასევე, არ მოიპოვება ინფორმაცია საქართველოს ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესახებ;

- საქართველოში, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის (Ičთ) დიდი ნაწილი პოსტ-საბჭოთა პერიოდში აგებულია. შესაბამისად, არსებული ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნების მომსახურებას;
- აღსანიშნავია, რომ რეგიონებში, ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურა არათნაბრადაა განვითარებული და ძირითადად სავალალო მდგომარეობაშია. ქვეყანაში შეუძლებელია ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის მდგომარეობის სრული სურათის ასახვა. არ მოიპოვება ქვეყნის ინფრასტრუქტურის (ტელეკომუნიკაცია, ენერგეტიკა, გზა, წყალი) საერთო მდგომარეობის, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის საჭირო ვადების, მოდერნიზებისათვის საჭირო ხარჯების, დაფინანსების სავარაუდო წყაროების, მოდერნიზებისათვის საჭირო ტექნოლოგიებისა და კადრების შესახებ ინფორმაცია;
- მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემა (ფასი, გავრცელების არეალი და სხვა); კომპიუტერიზაცია (კომპიუტერის ფასი, ყიდვის შე-საძლებლობა, მისაწვდომობა); ICT-ის სფეროში წიგნიერების დაბალი დონე; ინტერნეტის სიჩქარე; დაბალი ინფორმაციულობა (ელექტრონულ მთავრობაზე, ელექტრონულ კომერციაზე); ბუნდოვანია ელექტრონული მთავრობის ეროვნული სტრატეგია. ასევე, ელექტრონული ბაზრის განვითარებისა და ელექტრონული მთავრობის პროცესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებია: არასათანადო სამართლებრივი გარემო, ელექტრონული მთავრობის მომსახურების სპექტრი, ნდობის უქონლობა, არაეფექტური პროდუქტები, ციფრული ხელმოწერის მფლობელთა მცირე რაოდენობა, მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვა, ინტელექტუალური საკუთრებისა და კოპირაითის დაცვა;
- მარკეტინგულმა კვლევამ ცხადყო, რომ მოქალაქეების დიდი ნაწილისათვის, ელექტრონული მთავრობის მომსახურების მრავალი კომპონენტი ათვისებული არ არის. შესაბამისად, საზოგადოებას მისი ფასეულობის გაცნობიერება უჭირს და არც ცხოვრების ყოველდღიურ ნაწილად აღიქვავს. ამიტომ, მიზანშეწონილია, ინოვაციის ინფორმირების ამაღლების ღონისძიებების გატარება და საზოგადოების ფართო ფენისათვის ტექნოლოგიების მისაწვდომობის მარკეტინგული პროგრამების შემუშავება, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო სექტორთან თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს;
- საქართველოს მთავრობის ელექტრონული მომსახურების პოტენციალი, გავრცელების არეალი და მოხმარების მასშტაბი მცირეა. განსხვავებულია ელექტრონული მთავრობის ფასეულობისადმი მოქალაქეების, კერძო და სახელმწიფო სექტორის მოლოდინი. შედეგად, ელექტრონული მთავრობის ინიციატივები შედეგს ვერ აღწევს;
- მოსახლეობაში დაბალია სამთავრობო web-საიტების მომსახურების სოციალ-ეკონომიკური ფასეულობის აღქმა და მნიშვნელობის გააზრება, რაც სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული: დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფონი, ინტერნეტ-წიგნიერების დეფიციტი, ელექტრონული მთავრობის არასაკმარისი პროპაგანდა, მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა და სხვა;
- საქართველოში, ელექტრონული მთავრობის სისტემის გამოწვევების შესწავლისას გამოვლინდა, რომ ელექტრონული მთავრობის კომპონენტები ყველა მოქალაქისათვის არ არის თანაბრად მისაწვდომი, გამოყენებადი, ადვილად შესასწავლი, მკაფიოდ და გასაგებად აღსაქმელი;
- კანონზომიერად არ ხორციელდება ინტერნეტ-ბაზრის განვითარების ხელშემწყობი მიდგომები, კერძოდ: ქვეყანაში, ძირითადი ფოკუსირება მოხდა მთავრობის ვებ-საიტებისა და ელექტრონული მომსახურეების დანართების შექმნაზე, შემდეგ დაიგეგმა საზოგადოების ინტერნეტიზაციის პროცესი (რომელიც მომავალ 3 წელიწადში განხორციელდება), დაბოლოს კი - კომპიუტერიზაციის სტიმულირებისა და კომპიუტერული უნარჩვევების ამაღლების ღონისძიებების გატარება ; იმისათვის, რომ კანონზომიერი შედეგი მიგვეღო, საჭირო იყო ეს ყველაფერი პირიქით განხორციელებულიყო;
- აღნიშნული პრობლემების შედეგს წარმოადგენს ის გარემობა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ გვაქვს ერთიანი, ინტეგრირებული მთავრობის სისტემა, ელექტრონული ბაზარი არ წარმოადგენს ბიუჯეტის შევსების წყაროს, ციფრული ეკონომიკა უმნიშვნელოა, დაბალია ონლაინ ვაჭრობის დინამიკა, მსყიდველობითუნარიანი ინტერნეტ-მომხმარებელთა სეგმენტი არ არის დიდი, მცირეა ინტერნეტ-კომპანიე-

ბის რაოდენობა და ინტერნეტ-ბაზარზე დასაქმებულთა წილი;

- აღნიშვნის ღირსია ელექტრონული მთავრობის დანერგვისა და ელექტრონული ბაზრის განვითარების მცირე საბიუჯეტო დაფინანსება; ელექტრონული მთავრობის გაურკვეული და არაფორმირებული იმიჯი; მობილური მთავრობის აპლიკაციების არ არსებობა;
- ქვეყანაში, იწერება სტრატეგიები, რომელიც მუშავდება უცხოელების მიერ, აღნიშნული სტრატეგიები არ ეყრდნობა მარკეტინგულ კვლევებს, არაა ფოკუსირებული ადგილობრივ შესაძლებლობებზე, არ ითვალისწინებს ადგილობრივ რესურსებს, მოთხოვნებსა და წესჩვეულებებს. იგი ასახავს საერთაშორისო ქვეყნების გამოცდილებას, წარმოდგენილია სტრატეგიის აპრიორული ცოდნის მიდგომით და რა თქმა უნდა არა აქვს აპოსტერიორი მტკიცებულება; ამის შედეგს წარმოადგენს ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაინტერესების შედეგად გამოცხადებული კონკურსი ჩაშალა[14]

5. დასკვნები და წინადადებები

ელექტრონული გარემო, მდიდარი ეკონომიკური სივრცეა, რომელზე ორიენტირება ხელს შეუწყობს ციფრული ეკონომიკის განვითარებას და საზოგადოებას უზრუნველყოფს სოციალ-ეკონომიკური სარგებლით. მისი განვითარებით ფუნდამენტურად შეიცვლება ეკონომიკური ლანდშაფტი, მოხდება ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება, ეკონომიკის ზრდა, სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ზრდა და უმუშევრობის შემცირება.

დაბოლოს, შეიძლება აღინიშნოს, რომ:

- ინტერნეტ-ბაზრის განვითარება საჭიროებს გაცილებით მეტ ფინანსურ რესურს (ნაციონალური ბიუჯეტის 2-3%-ს); რითაც მიღწეული იქნება მშპ-ის, დასაქმებისა და პროდუქტიულობის ზრდა;
- შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს ელექტრონული გარემო საჭიროებს თამამ რეფორმებს, სტრატეგიულ დაგეგმვასა და ნოვატორულ მართვას.
- დაფინანსებას საჭიროებს ვიწროსპეციალიზაციის პროექტები;
- სტრატეგიული საკითხები უნდა გადაიჭრას მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო ჯგუფების ერთობლივი მონაწილეობით;
- ქვეყანაში უნდა შეიქმნას კიბერარმია;
- აღმასრულებელმა უწყებებმა უნდა ითანამშრომლონ სამეცნიერო საზოგადოებასთან და დაინტერესდნენ ქართველი მეცნიერების კვლევებით (აღნიშნულ ჯგუფებს უფრო ეფექტიანად შეუძლიათ ინტერნეტ გარემოს მოთხოვნის ანალიზი, ღირებულების შეფასება, სტრატეგიული დაგეგმვა თუ ეკონომიკური მოდელირება).
- პრიორიტეტული უნდა გახდეს კომპიუტერიზაციის პროცესი, ინტერნეტის ფასის ხელმისაწვდომობა, ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნისა და ინტერნეტ-გარემოს განვითარების ხელშეწყობა, რაც უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერების მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმებს;
- საქართველოს ინტეგრირებული ელექტრონული გარემო საჭიროებს: ელექტრონული ბიზნეს გარემოს სტიმულირებას; ბიზნეს მწარმოებლურობისა და სარგებლის ზრდას; ელექტრონული კომერციის ბრუნვისა და შემოსავლების ზრდას; სტაბილური და უსაფრთხო კიბერგარემოს ფორმირებას; ელექტრონული ბიზნეს მოდელებისა და პროცესების ეფექტურ მართვას; მომავალი თაობის ტექნოლოგიებში ინვესტიციებისა და კაპიტალის ზრდას;

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ წარმოჩენილი გამოწვევების დაძლევის მიზნით, კარგი იქნება გათვალისწინებული იქნას ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტი („საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია"), რომელიც კვლევების საფუძველზეა შექმნილი. აღნიშნული დოკუმენტით შესაძლებელია გაგებული იქნას თუ სად იმყოფება ქვეყანა, რა გამოწვევების წინაშეა და რა მიმართულებით უნდა იმოძრაოს მან.

ჯამში, შედეგი იქნება ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნა, დასაქმების ზრდა, უმუშევრობის შემცირება, საქართველოს ეკონომიკაში ციფრული ეკონომიკის მატება (5-20%), ელექტრონული კომერციის ზრდა, ბუჯეტის ზრდა, საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა;

გამოყენებული ლიტერატურა

1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. 12 მარტი, 2015. http://www.gita.gov.ge/ge/

2 აბულაძე რ. საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია. მონოგრაფია. მეორე გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2015. გვ. 234

3 მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის სისტემის სამთავრობო პროექტზე კომპანიებმა უარი თქვეს. 30.07.2015. http://www.netgazeti.ge/GE/105/News/48406/

4 http://www.radiotavisupleba.ge/content/internatizatsiis-protsesi-da-problemebi/27231089.html

5 http://news.ge/ge/news/story/148428-sayoveltaomaghalsichqariani-internetizatsiis-proeqti-fondi-qartus-finansuri-mkhardacherit-gankhortsieldeba

6 აბულაძე რ. ელექტრონული მთავრობა. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2013.

7 Government at a Glance 2013 . Special feature: Central government ICT spending . http://www.oecd-ilibrary.org/docserver/download/4213201ec025.pdf?expires=1445371836&id=id&accname=guest&checksum=FF4A736C005E9A957C1DEA6EA23BC5E1

8 Investment Support and Promotion Agency of Turkey. Information & Communications Technology. January 2014 . http://www.invest.gov.tr/en-US/infocenter/publications/Documents/ICT.INDUSTRY.pdf

9 http://www.cnews.ru/news/top/2015-09-25_skolko_federaly_poprosili_deneg_na_informatizatsiyu

10 http://news.az/articles/84618/print

11 http://en.apa.az/news/183669

12 IDC . Analyze the Future. White Paper: Value for Money with IT Operations in Moldova, March 2012. http://mtic.gov.md/sites/default/files/staticdocuments/white_paper.pdf

13 Armenia - ICT Environment, Innovation Policies & International Cooperation. EECA CLUSTER. http://eeca-ict.eu/images/uploads/pdf/EECA_counires_reports_NEW/ICT-Env_Inno-policies_and_Inter-coop_report_ARMENIA.pdf

14 http://www.radiotavisupleba.ge/content/internatizatsiis-protsesi-da-problemebi/27231089.html

PROBLEMS AND PROSPECTS OF INTERNET-MARKET DEVELOPMENT IN GEORGIA

RATI ABULADZE
Professor of GTU
E-mail: dr.ratmen@gmail.com

Summary

The article accents on the economic role of e-government technologies. The paper considers the technologies of e-government as an economic resource, whose distribution makes a positive contribution to the economy of the country. Consequently, the cause-and-effect relation between the level of the e-government development and increasing social-economic benefit in the country is established.

The research paper underlines that the development of the e-market stimulates the employment generation, identification of the new sources of the state budgetary recharge, growth of the economic activity, identification of the new markets, decline in poverty and activation of online trade and online deals.

The article describes the e-commerce and e-market as one of the resources to revitalize economy of the country.

The problems and prospects of Internet-market development in Georgia are described.

The relevant recommendations and set of measures are given as a conclusion.